ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა მართვის სააგენტო“-ს დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტისა და 106[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა მართვის სააგენტო“.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა № 11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი

განმარტებითი ბარათი

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა მართვის სააგენტო“-ს დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია განკარგულების პროექტის შესახებ:

ა) პროექტის მიღების მიზეზი: 2025 წლის 26 ივნისიდან საქართველოს მთავრობის განკარგულებით ამოქმედდა უპატრონო/მიკედლებული ცხოველების პოპულაციის მართვის საპილოტე პროგრამა, რომლითაც ქუთაისის, გურჯაანის და ბათუმის მუნიციპალიტეტებს სსიპ ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციით დაევალათ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება იმერეთის, კახეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 25 თებერვლის N412 განკარგულებით დამტკიცებული „ძაღლების ჰიპერპოპულაციის მართვის პროგრამით ქუთაისის ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარს დაევალა იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე დაახლოებით 10 000 -მდე უპატრონო/მიკედლებული ცხოველების პროგრამით გათვალისწინებული მომსახურეობა.

ბ) პროექტის მიღების მიზანი: „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა მართვის სააგენტო“-ს დაფუძნება.

2. განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი:

3. განკარგულების პროექტის შემმუშავებელნი:

განკარგულების პროექტი შემუშავებულ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მიერ.

4. განკარგულების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი - დავით ერემეიშვილი.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტის წარმომდგენი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი ირაკლი გიორგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი მერი დავით ერემეიშვილი